

ხელშეკრულება № 26

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. მცხეთა

29 სექტემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ბოხუას სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ხატია მჭედლიშვილი, (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხატია მჭედლიშვილი სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „სა ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.13. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია -სამეურნეო ნივთები 30100000; 30200000; 22800000 ; 50300000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.
- 1.14. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

- 2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 195,95 (ასოთხმოცდათხუთმეტი) ლარს.
- 2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

- 3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.
- 3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
- 3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

- 4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. მცხეთა, შრომის ქ N22)

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.
- 5.2. ხელშეკრულების ითოვეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და როგორმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
- 5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
- 5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;
- ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტებლო

- 6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტებლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
- 6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტებლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

- 7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
- 7.2. თუ ერთ-ერთი მსარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
- 7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მსარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვალიერა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
- 8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
 - ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
 - ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
 - გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი.

- 9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

- 10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
- 10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

- 11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა კადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

- 12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეზემპლარად. ერთი ეზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ - ქალაქ მცხეთის № 2 საჯარო სკოლა
ს/კ 236087630

მის: ქ. მცხეთა , შრომის ქ N22
ტელ: 5 77 97 11 01

საბანკო რეკვიზიტები:

ს/ს „ლიბერთი ბანკი“

ბანკის კოდი

ა/ა

GE83LB0121111945167000
დირექტორი ნანა ბოხუა

6.20
(ხელმოწერა)

8.5



მიმწოდებელი:

ი/მ ხატია მჭედლიშვილი
ს/კ 24001044420
მის.: მცხეთა, ათმაშენებელის ქ N93
ტელ.: 595311331

საბანკო რეკვიზიტები:

ს/ს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი
ა/ა GE33LB0112111045731000

დირექტორი ხატია მჭედლიშვილი

6.20
(ხელმოწერა)

8.5



დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

5.შესყიდვის ობიექტია:

საქონლის დასახელება		ზომის	ერთეული	რაოდ	ერთ.ფასი	საქონლ.ფასი
კარტირიჯის ტონერი	ცალი		7	15	105,00	
კარტირიჯის ბარაბანი	ცალი		1	7	7	
კარტირიჯი 728ა	ცალი		1	28	28	
ფაილი ა4	ცალი		4	3,50	14	
საწერი კალამი	ცალი		2	0,20	0,40	
კორექტორი	ცალი		2	0,80	1,60	
გამომთვლელი	ცალი		1	6	6,00	
ფერადი ჩასანიში ფურცელი	შეკვრა		3	2,50	7,50	
საშლელი	ცალი		4	0,25	1	
ბლოკნოტი	ცალი		1	6	6	
სკოჩი (პატარა)	ცალი		17	0,30	5,10	
სკოჩი (დიდი)	ცალი		1	1	1	
ფერადი წებოვანი ფურცელი	შეკვრა		2	1	2	
სტეპლერის ტყვება	ცალი		1	0,35	0,35	
სტეპლერი	ცალი		1	3	3	
ჭიკარტი (ყუთი)	ც		2	0,50	1	
ფლომასტრი	ც		1	0,25	4	
კლიპსი	ცალი		12	0,25	3	
					195,95 ლარი	



სსიპ - ქალაქ მცხეთის № 2 საჯარო
სკოლის დირექტორი ე. ბორის

/ნანა ბოხტა/

ი/მ „ხატია მჭედლიშვილი“ დირექტორი



/ხატია მჭედლიშვილი/